ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: თორნიკე ბაქრაძე

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: დ. ა. /სიითი№/

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 108/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2018 წლის 09 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2008 წელს ის წარმოადგენდა პ. ყ.-ის, როგორც მოსარჩელის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე, რაც ეხებოდა 1952 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ბინის რეგისტრაციის მოთხოვნას. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, პ. ყ.-ის მეუღლემ - ლ. ე.-მ დ. ა.-ს აჩვენა ყალბი აუდიტორული დასკვნა, რომლის სასამართლოსთვის წარდგენაზე დ. ა.-მ უარი განაცხადა. საჩივრის ავტორის განმარტებით, პ. ყ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რის საფუძველზეც მას შეეძლო 1952 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება, თუმცა მან ყალბი აუდიტორული დასკვნის ქსეროსალის წარდგენის საფუძველზე დაირეგისტრირა ქონება.

1.3. პ. ყ.-ის მიერ ყალბი დოკუმენტის საფუძველზე დარეგისტრირებული ქონების თაობაზე 2008 წელს ამხანაგობა „მ. X“-ის თავმჯდომარემ - თ. ს.-მ საჩივრით მიმართა პროკურატურას ამხანაგობის ადვოკატის მ. ბ.-ის რჩევით და დარიგებით. ადვოკატმა მ. ბ.-მ თავის კლიენტს თ. ს.-ს უთხრა, რომ მას ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი, პ. ყ.-ის მოქმედებების გამო და ადვოკატ დ. ა.-ს ბრალეულობის შედეგად. ადვოკატმა მ. ბ.-მ თ. ს.-ს განუცხადა, რომ დ. ა.-ს მეშვეობით იყო დამზადებული ყალბი აუდიტის დასკვნა და მიწის ნაკვეთის მიტაცება განხორციელდა მისი თაღლითური გარიგებით, მოსამართლის შეცდომაში შეყვანით.

1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული საქმის გამოძიება 2015 წელს პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე განახლდა შეცდომით, არარსებული პიროვნების „დ. ყ.-ის მიმართ“, რადგანაც საქმეში ფიგურირდება დ. ა. და პ. ყ..

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის შეხვდა თ. ს.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ მ. ბ.-ის თქმით, დ. ა.-ს ბრალეულობა იყო მის საქმეში. 2016 წლის 26 მარტს გამოძიებამ დაკითხა თ. ს., რომელმაც აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა პრეტენზია დ. ა.-ს მიმართ, ვინაიდან ის მოქმედებდა, როგორც ადვოკატი და მისი ქმედების შედეგად ის არ დაზარალებულა. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, ადვოკატი მ. ბ. „შეეკრა გამომძიებელს“ და თავის კლიენტს თ. ს.-ს მოტყუებით მოაწერინა ხელი გამომძიებლის მიერ გაყალბებულ ოქმზე, რომლის მიხედვით, თითქოს, მიტაცებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა არა ამხანაგობის, არამედ სახელმწიფოს საკუთრებას, რის საფუძველზეც გამომძიებელმა გააუქმა თ. ს.-ის დაზარალებულად ცნობის თაობაზე დადგენილება.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ბ.-მ, რომელმაც მოატყუა თავისი კლიენტი და სწორედ მის მიერ არაკოლეგიალური და დანაშაულებრივი ქმედებების გამო, დღემდე მიმდინარეობს მის წინააღმდეგ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ მ. ბ.-ს ჩაბარდა საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება და საქმის მასალები, თუმცა მას ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1. ადვოკატი მ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2. ადვოკატმა დ. ა.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 09 აგვისტოს.

3.3. საჩივარში აღნიშნული ერთი სადავო ქმედება განხორციელდა 2008 წელს. ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის 4 მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 (ხუთი) წელი. საჩივარში მითითებული მოცემული სავარაუდო დარღვევის თარიღისათვის მოქმედი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (20.06.2001 №976 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების (2006 წლის 15

აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი

3.4. საჩივარში აღნიშნული მეორე სადავო ქმედება ხორციელდება 2015 წლიდან დღემდე და მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. აღნიშნული საჩივრის მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატმა მ. ბ.-მ სავარაუდო დარღვევა განახორციელა 2008 წელს, როდესაც მან სავარაუდოდ, თავის კლიენტს ურჩია მიემართა პროკურატურისათვის საჩივრის ავტორის წინააღმდეგ, მათ შორის, თავის კლიენტს თ. ს.-ს განუცხადა, რომ ადვოკატ დ. ა.-ს მიერ განხორციელებული „თაღლითური გარიგების“ საფუძველზე „მიიტაცეს მისი მიწის ნაკვეთი“, აგრეთვე, ადვოკატი მ. ბ. არწმუნებდა თავის კლიენტს, რომ დ. ა.-მ მოსამართლე შეიყვანა შეცდომაში და მისი მონაწილეობით დამზადდა ყალბი აუდიტორული დასკვნა.

5.2. განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილ ზემოაღნიშნული პრეტენზიის შეფასების თაობაზე, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ 2008 წელს მოქმედებდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2001 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-3 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი. მოცემულ შემთხვევაში, კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, რადგან ის აუარესებს პირის (ადვოკატის) მდგომარეობას.

5.3. საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა მ. ბ.-მ თავის კლიენტს 2015 წელს ურჩია კვლავ მიემართა პროკურატურისათვის საჩივრის ავტორის წინააღმდეგ, რის შემდგომაც, მ. ბ.-ის „დანაშაულებრივი ჩვენებების“ საფუძველზე საჩივრის ავტორის წინააღმდეგ პროკურატურამ განაახლა საქმის წარმოება.

5.4. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

5.5. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტები უნდა იყო გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს და ამავე დროს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობისას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის საქმიანობას და ყოველდღიური საქმიანობით უნდა იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

5.6. საჩივრის ავტორის ადვოკატ დ. ა.-ს პოზიციიდან ირკვევა, რომ ადვოკატმა მ. ბ.-მ განახორციელა „დანაშაულებრივი ქმედებები“, იმოქმედა არაკოლეგიალურად, მათ შორის 2015 წელს ადვოკატმა მ. ბ.-მ საჩივრებით მიმართა პროკურატურას დ. ა.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების განახლება, ამასთან ადვოკატი მ. ბ. „შეეკრა გამომძიებელს“ და 2016 წელს თავის კლიენტს თ. ს.-ს მოტყუებით მოაწერინა ხელი გამომძიებლის მიერ გაყალბებულ ოქმზე, რომლის მიხედვით, თითქოს, მიტაცებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა არა ამხანაგობის, არამედ სახელმწიფოს საკუთრებას.

5.7. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და აპეკ-ით ადვოკატს არ ეკრძალება დაიცვას და წარმოადგინოს თავისი კლიენტის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს მისი კოლეგა. კოლეგიალობის პრინციპის შესაბამისად მოქმედება მოიცავს თავაზიანობისა და კორექტულობის დაცვას, მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოების, საპროცესო უფლებათა რეალიზაციის და კოლეგასთან კომუნიკაციის შემთხვევებში. კოლეგიალობის პრინციპი ირღვევა, მაშინ როდესაც ადვოკატი მისი კოლეგისადმი გამოხატავს უპატივცემულობას, მათ შორის არაკორექტულ განცხადებებს აკეთებს, რაც უდავოდ არ ამართლებს ადვოკატის არასათანადო ქცევას. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პოზიციის და საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ბ. ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას მისი კლიენტის ინტერესების წარმოდგენის ფარგლებში და ადვოკატ მ. ბ.-ის, როგორც მისი კლიენტის ინტერესების საპირისპიროდ მდგომი მხარის მიმართ. კერძოდ, ადვოკატმა მ. ბ.-მ პროკურატურას საჩივრის ავტორის წინააღმდეგ მიმართა, როგორც კლიენტის ინტერესების წარმომადგენელმა.

5.8. ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს. იმ შემთხვევაში, როდესაც თავად კლიენტს არ მოსწონს ადვოკატის მიერ განხორციელებული საადვოკატო მომსახურება, მათ შორის მის მიერ საქმესთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რჩევა ან/და მოქმედებები - მას შეუძლია ედავოს თავის ადვოკატს გაწეული საადვოკატო მომსახურების თაობაზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში,

ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული კონსულტაცია და კლიენტის საქმის თაობაზე განხორციელებული მოქმედებები ვერ შეფასდება კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში.

5.9. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატ მ. ბ.-ის მიერ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის, როგორც ადვოკატის მიმართ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფაქტი.

5.10. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №108/18 ადვოკატ მ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქარძე/